ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №417453

ნომერი: AR188762

თარიღი : 26.10.2012

გაცემის თარიღი : 05.11.2012

გაცნობის თარიღი : 20.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 5 , (ნაკვ.09/018) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მალხაზ თავართქილაძე პ/ნ 01015004708
- თბილისი ვერცხლის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 სექტემბრის №329728 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამსახურს 2012 წლის 26 ოქტომბერს №AR188762 განცხადებით მომართა შპს "თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი"-ს წარმომადგენელმა მოქალაქე მალხაზ თავართქილაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 სექტემბრის №329728 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 13 სექტემბრის №329728 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №5-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.02.009.018), თვალის კლინიკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2012 წლის 13 სექტემბრიდან 2013 წლის 13 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის თანახმად გათვალისწინებული ორი შენობა მიდგმულია ერთმანეთზე, მაგრამ წარმოადგენს კონსტრუქციულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ფუნდამენტზე დამყარებული შენობათა კომპლექსს.აღნიშნულის თაობაზე წარმოდგენილი იქნა პროექტის კონსტრუქტორის გიორგი გომელაურის განმარტებითი ბარათი და შენობათა ფუნდამენტის მოწყობის პროექტი.

აქედან გამომდინარე, ითხოვს ცალკე ბლოკებად დაყოფას, დაყოფის შედეგად გენერალურ გეგმაზე შენობობს მიენიჭება №1 (შენობა-სამედიცინო ბლოკი), N6 (დამხმარე ნაგებობა-საქვაბ) და №7 (საოფისე ბლოკი).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-18 მუხლის თანახმად ერთ შენობად ითვლება შენობა, რომელსაც აქვს და¬მოუკიდებლად მომუშავე საძირკვლის კონსტრუქციული სის¬ტემა. პროექტის კონსტრუქტორის განმარტებით ორი ერთმანეთზე მიდგმული შენობა წარმოადგენს ორ დამოუკიდებელი საძირკველის მქონეს, აქედან გამომდინარე, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 13 სექტემბრის №329728 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მისწის ნაკვეთის ფართი ---------- 5841 მ2
განაშენიანების ფართობი ---------- 1523,72 მ2
განაშენიანების კოეფ. კ-1 ---------- 0,26
განაშენიანების სიმჭიდროვის ფართობი --- 2460,68 მ2
განაშენიანების ინტენსივობის კოეფ. კ2 --- 0,42
გამწვანებული ტერიტორიის ფართობი ------ 2619 მ2
გამწვანების კოეფ. კ3 ------ 0,3
სამშენებლო მოხულობა ---------- 11952,98 მ3
0.00 ზევით ---------- 8659 მ3
0.00 ქვევით ---------- 3293,5 მ3
საერთო სასარგებლო ფართი ---------- 3498,5 მ2
მათ შორის საპროექტო ბლოკების მიხედვით:
№ 1- სამედიცინო ბლოკი - 2506.3 მ2
კომერციული ფართი ------ 1129,8 მ2
საოფისე ფართი ---------- 190.4 მ2
სასაწყობო ფართი ---------- 209,4 მ2
კიბის უჯრედების და დერეფნების ფართი 286.2 მ2
დამხმარე ფართი ---------- 231.9 მ2
საზაფხულო ფართი ---------- 458,6 მ2
შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 0.00 ზევით --- 10მ

შენობის კონსტრუქციული სიმათლე 0.00 ქვევით --- 3,50 მ
№6- დამხმარე ფართი-საქვაბე----------25 მ2
№7- საოფისე ბლოკი - 967. 2 მ2
განმართებითი ბარათი
კორექტირებით გათვალისწინებულია ორი ერთმანეთზე მიდგმული მაგრამ კონსტრუქციულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფუნდამენტებზე დამყარებული შენობათა კომპლექსის ცალკე ბლოკებად დაყოფა, გენგეგმაზე ორივე
შენობა აღნიშნული იყო №1 ნიშნით. კორექტირების შედეგად გამოყოფილ ბლოკს მიენიჭა №7.
შესაბამისი ცვლილებებია შეტანილი გენგეგმაზე, მ.შ. №1-საპროექტო შენობა_სამედიცინო ბლოკი;
№6- დამხმარე ნაგებობა_საქვაბე; №7- საპროექტო შენობა_საოფისე ბლოკი.
პრ-ის მთ. არქიტექტორი მ.თავართქილაძე
კომერციული ფართი ---------- 166,4 მ2
საწარმოო ფართი ---------- 197,7 მ2
კიბის უჯრედების და დერეფნების ფართი 100.5 მ2
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 13 სექტემბრის №329728 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.